საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1627/01
12/02/2020

1627-01-2-202002120914

შპს „ფშაველას“

მის: ქ. თბილისი, ტურგენევის ქ. N11

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 30 იანვრის N1482 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დაბა ჟინვალში, ჟინვალჰესის ტერიტორიაზე განთავსებული ფშაველა ჰესის ექსპლუატაციის საკითხს.

გაცნობებთ, რომ შპს „ფშაველას“ მიერ 2015 წლის 25 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საჯარო (წინასწარი) განხილვის მიზნით წარმოდგენილი იყო „ფშაველა ჰესი“-ს მოდერნიზაცია-ოპერირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დაგეგმილი იყო არსებული ჰესის სიმძლავრის გაზრდა 1 მეგავატიდან 2,9 მეგავატამდე. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველს წარმოადგენდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას მიეკუთვნებოდა: „ჰიდროელექტროსადგურის (2 მგვტ და მეტი სიმძლავრის) განთავსება“. იმის გათვალისწინებით, რომ იგეგმებოდა ჰესის სიმძლავრის გაზრდა, პროექტი უნდა განხორციელებულიყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, თუმცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვის პროცედურის გავლის შემდგომ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით (საჯარო განხილვის მოწყობიდან ერთი წლის ვადაში) დოკუმენტაცია სამინისტროში არ წარმოდგენილა.

თქვენი 2020 წლის 30 იანვარს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, 2019 წლის ოქტომბრამდე ფშაველა ჰესის ექსპლუატაციას ახორციელებდა სს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, ხოლო 2019 წლის ოქტომბრიდან აღნიშნული ჰესის ექსპლუატაციას, რომლის სიმძლავრე შეადგენს 2,9 მგვტ-ს ახორციელებს შპს „ფშაველა“. თუმცა წარმოდგენილი განცხადებით არ იდენტიფიცირდება რომელი წლიდან და რის საფუძველზე განხორციელდა არსებული ჰესის სიმძლავრის გაზრდა.

ამასთან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ჰიდროელექტროსადგური ზემოთაღნიშნული სიმძლავრით ფუნქციონირებს 2015 წლის ნოემბრის თვიდან და არ გააჩნია

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება. 2019 წლის 25 დეკემბერს შპს ,,ფშაველას" მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომელიც გადაგზავნილია სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს დაბა ჟინვალში, ჟინვალჰესის ტერიტორიაზე განთავსებული შპს „ფშაველას“ კუთვნილი ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული განცხადება.

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტრომ მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან, კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. სკრინინგის განცხადება შესრულებული უნდა იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე